



საქმე №1ა/გ-801-16



**გ ა ნ ჩ ი ნ ე ზ ა**  
**საქართველოს სახელით**

5 აგვისტო, 2016 წელი

თბილისი

**თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**  
**თავმჯდომარე: მარინა ხოლოაშვილი**  
**მოსამართლეები: მზია ლომთათიძე**  
**კახაბერ მაჭავარიანი**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ **კ. ა-ის** შუამდგომლობა ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის თაობაზე,

**ა ღ წ ე რ ი ლ ო ბ ი თ ი ნ ა წ ი ლ ი:**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2004 წლის 22 ივლისის განაჩენით, **კ. ა.** ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-3 ნაწილით 6 (ექვსი) წლით თავისუფლების აღკვეთა, საქართველოს სსკ-ის 143-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „თ“ ქვეპუნქტებით - 5 (ხუთი) წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის შესაბამისად, დანიშნული სასჯელები შეიკრიბა ნაწილობრივ და შეკრების წესით მას დაენიშნა 8 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის მე-60 მუხლის შესაბამისად, ამ სასჯელს ნაწილობრივ დაემატა წინა განაჩენით დანიშნულის სასჯელის მოუხდელი ნაწილი - 2 (ორი) წლით თავისუფლების აღკვეთა და საბოლოოდ **კ. ა-ს** სასჯელად დაენიშნა 10 (ათი) წლით თავისუფლების აღკვეთა.

აღნიშნული განაჩენი საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2004 წლის 14 სექტემბრის განჩინებით დარჩა უცვლელად.

ტყიბულის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 12 აპრილის განაჩენით **კ. ა.** ცნობილი იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლის „ა“ და „თ“ ქვეპუნქტებით (2006



წლის 28 აპრილამდე მოქმედი რედაქცია) და მიესაჯა უვადო თავისუფლების აღკვეთა. მსჯავრდებულს სასჯელის ვადაში ჩაეთვალა პატიმრობაში ყოფნის დრო - 2003 წლის 5 სექტემბრიდან 2007 წლის 12 აპრილამდე და სასჯელის ათვლა დაეწყო 2007 წლის 12 აპრილიდან. აღნიშნული განაჩენი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 9 ივლისისა და საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 25 მარტის განჩინებით დარჩა უცვლელად.

გარდაბნის რაიონული სასამართლოს 2011 წლის 28 ივლისის განჩინებით მსჯავრდებულ კ. ა-ის მიმართ ტყიბულის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 12 აპრილის განაჩენით დანიშნულ სასჯელს, რომელშიც ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 9 ივლისის განაჩენით შევიდა ცვლილება, დაემატა წინა - საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2004 წლის 22 ივლისის განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი და საბოლოოდ მსჯავრდებულს განაჩენთა ერთობლიობით განესაზღვრა უვადო თავისუფლების აღკვეთა და თავისუფლების აღკვეთა 6 (ექვსი) წლით, 4 (ოთხი) თვითა და 23 (ოცდასამი) დღით. მას სასჯელის მოხდა დაეწყო ტყიბულის რაიონული სასამართლოს განაჩენის გამოტანის დღიდან - 2007 წლის 12 აპრილიდან.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 10 ივნისის განჩინებით მსჯავრდებულ კ. ა-ის მიმართ გავრცელდა „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონი, კერძოდ: საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2004 წლის 22 ივლისის განაჩენით საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-3 ნაწილით დანიშნული სასჯელი - 6 (ექვსი) წლით თავისუფლების აღკვეთა, - გაუნახვერდა და განესაზღვრა 3 (სამი) წლით თავისუფლების აღკვეთა. მასვე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2004 წლის 22 ივლისის განაჩენით საქართველოს სსკ-ის 143-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „თ“ ქვეპუნქტებით დანიშნული სასჯელი - 5 (ხუთი) წლით თავისუფლების აღკვეთა, შეუმცირდა 1/4-ით და განესაზღვრა 3 (სამი) წელი და 9 (ცხრა) თვე. მასვე, სსკ-ის 110-ე მუხლის პირველი და სსკ-ის 152-ე მუხლის მეორე ნაწილის პირველი და მეხუთე პუნქტებით (1961 წლის რედაქცია) თერჯოლის რაიონული სასამართლოს განაჩენით დადგენილი სასჯელი - თავისუფლების აღკვეთა - 10 (ათი) წლით, 9 (ცხრა) თვითა და 13 (ცამეტი) დღით - შეუმცირდა 1/4-ით და განესაზღვრა 8 წელი, 1 (ერთი) თვე და 1 (ერთი) დღე. შესაბამისად, 2003 წლის 27 ივნისის რუსთავის საქალაქო სასამართლოს ვადამდე ადრე გათავისუფლების განჩინების გამოტანის დროს მსჯავრდებულს მოხდილი ჰქონდა თერჯოლის რაიონული სასამართლოს 1995 წლის განაჩენით დანიშნული სასჯელი.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის საფუძველზე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს განაჩენით კ. ა-ეს საბოლოოდ ძირითად სასჯელად განესაზღვრა 6 (ექვსი)



წლითა და 9 (ცხრა) თვით თავისუფლების აღკვეთა. მასვე, ტყიბულის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 12 აპრილის განაჩენით საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლის „ა“ და „თ“ ქვეპუნქტებით (2006 წლის 28 აპრილამდე მოქმედი რედაქცია) დადგენილი სასჯელი - უვადო თავისუფლების აღკვეთა - შეუმცირდა ¼-ით და განესაზღვრა უვადო თავისუფლების აღკვეთა.

განაჩენთა ერთობლიობით, საბოლოოდ, კ. ა-ს განესაზღვრა უვადო თავისუფლების აღკვეთა. მსჯავრდებულს სასჯელის ვადაში ჩათვალა პატიმრობაში ყოფნის დრო - 2003 წლის 5 სექტემბრიდან 2007 წლის 12 აპრილამდე და სასჯელის ათვლა დაეწყო 2007 წლის 12 აპრილიდან.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2013 წლის 24 ივლისის განჩინებით „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-12 მუხლის თანახმად, მსჯავრდებულ კ. ა-ს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2004 წლის 22 ივლისის განაჩენით საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-3 ნაწილით წილობრივი პროპორციის გათვალისწინებით დანიშნული სასჯელი 4 (ოთხი) წლით თავისუფლების აღკვეთა - გაუნახევრდა და შეადგინა 2 (ორი) წელი.

„ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-16 მუხლის თანახმად, მსჯავრდებულ კ. ა-ს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2004 წლის 22 ივლისის განაჩენით საქართველოს სსკ-ის 143-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „თ“ ქვეპუნქტებით წილობრივი პროპორციის გათვალისწინებით დანიშნული სასჯელი 4 (ოთხი) წლით თავისუფლების აღკვეთა - შეუმცირდა ¼-ით, რაც შეადგენს 3 წელს. ამ განაჩენით მას შეეფარდა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა. განჩინება სხვა ნაწილში დარჩა უცვლელად.

2016 წლის 2 აგვისტოს, თბილისის სააპელაციო სასამართლოს, შუამდგომლობით მომართა მსჯავრდებულმა კ. ა-მ რომელმაც საქართველოს სსსკ-ის 310-ე მუხლის „ბ“, „დ“, „ე“ და „ვ“ ქვეპუნქტების თანახმად, ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო, მოითხოვა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2004 წლის 22 ივლისის განაჩენის და ტყიბულის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 12 აპრილის განაჩენის გადასინჯვა.

შუამდგომლობის ავტორი, ახლად გამოვლენილად მიიჩნევს იმ გარემოებას, რომ მის ბრალეულობასთან დაკავშირებით საქმეში არ არსებობს არცერთი პირდაპირი მტკიცებულება, რის გამოც თბილისის სააპელაციო სასამართლომ უნდა იხელმძღვანელოს საქართველოს სსსკ-ის 310-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტით და საქმე განიხილოს ზეპირი მოსმენის ფორმით. აღნიშნულის დასტურად მსჯავრდებულმა მიუთითა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის #1/1/548



გადაწყვეტილება, რომლის მიხედვით არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის მესამე პუნქტთან მიმართებით საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-13 მუხლის მეორე ნაწილის მეორე წინადადების ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ითვალისწინებს ამავე კოდექსის 76-ე მუხლის განსაზღვრული მტკიცებულების - ირიბი ჩვენების საფუძველზე გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის შესაძლებლობას;

წარმოდგენილ შუამდგომლობაში მსჯავრდებული აღნიშნავს, რომ მისი შუამდგომლობა ასევე დასაშვებია საქართველოს სსსკ-ის 310-ე მუხლის „ბ,“ და „ე,“ ქვეპუნქტების საფუძველით, ვინაიდან საქმეზე „ფანჯიკიძე და სხვები საქართველოს წინააღმდეგ“ ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა ევროპული სასამართლომ 2009 წლის 27 ოქტომბრის გადაწყვეტილებით მოცემულ საქმესთან დაკავშირებით დაადგინა კონვენციის მე-6 მუხლის დარღვევა, რადგანაც საქმეში არსებული პირები არ ყოფილან გასამართლებულნი „კანონის საფუძველზე შექმნილი“ სასამართლოს მიერ. აღნიშნული მოტივით კ. ა. მიიჩნევს, რომ მსაჯულთა შემადგენლობით შექმნილი კოლეგია არ იყო კანონის საფუძველზე შექმნილი.

### სამოტივაციო ნაწილი:

სააპელაციო პალატამ ზეპირი მოსმენის გარეშე, შეამოწმა წარმოდგენილი შუამდგომლობის საფუძველიანობა, შეისწავლა საქმის მასალები და მიიჩნევს, რომ შუამდგომლობა არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-20 მუხლის მე-6 ნაწილის შესაბამისად, „სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი წესით განიხილავს საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ გამოტანილი და კანონიერ ძალაში შესული განაჩენისა და სხვა შემაჯამებელი სასამართლო გადაწყვეტილების ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო გადასინჯვის შესახებ საჩივარს.“ ამავე კოდექსის 313-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის შუამდგომლობის შეტანიდან 2 კვირის ვადაში სასამართლო ზეპირი მოსმენის გარეშე ამოწმებს, დაყენებულია თუ არა შუამდგომლობა საპროცესო კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად და რამდენად არის ის დასაბუთებული.“

განსახილველი შუამდგომლობით მსჯავრდებული კ. ა. მიიჩნევს, რომ ვინაიდან საქმეში მისი ბრალეულობის დამადასტურებელი არცერთი პირდაპირი მტკიცებულება არ მოიპოვება, შუამდგომლობა დასაშვებად უნდა იქნეს ცნობილი და გათვალისწინებული უნდა იქნას საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის



№1/1/548 გადაწყვეტილება, რომელიც უპირობოდ გულისხმობს ირიბი ჩვენების საფუძველზე გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის შეუძლებლობას; საქართველოს სსსკ-ის 310-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის მიხედვით, განაჩენი ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო გადაისინჯება, თუ „არსებობს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელმაც არაკონსტიტუციურად ცნო ამ საქმეში გამოყენებული სისხლის სამართლის კანონი.“ მოცემულ შემთხვევაში, მსჯავრდებულის მიმართ სისხლის სამართლის საქმე ნაწარმოებია ძველი (1998 წლის 20 თებერვლის კანონით) სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამისად, ვინაიდან შუამდგომლობა ეხება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2004 წლის 22 ივლისის განაჩენისა და ტყიბულის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 12 აპრილის განაჩენის გადასინჯვას. ამდენად, უდავოა, რომ ამ საქმეებში არსებითი განხილვის დროს გამოყენებული არ არის ამჟამად მოქმედი სისხლის სამართლის კანონი. სისხლის სამართლის საქმე ნაწარმოებია ძველი (1998 წლის 20 თებერვლის კანონით) სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამისად. აღნიშნულიდან გამომდინარე, შუამდგომლობის ავტორის მითითება საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე ვერ მიიჩნევა განაჩენის გადასინჯვის საფუძველად, რადგან ხსენებული გადაწყვეტილება ეხება მხოლოდ მოქმედ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში არსებულ ნორმებს. ამრიგად, პალატა მიიჩნევს, რომ მსჯავრდებულის შუამდგომლობა არ არის წარმოდგენილი საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნათა შესაბამისად და იგი არ აკმაყოფილებს საქართველოს სსსკ-ის 310-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტით დადგენილ მოთხოვნას, რის გამოც იგი შუამდგომლობა ამ ნაწილში დაუშვებლად უნდა იქნეს ცნობილი.

საქართველოს სსსკ-ის 310-ე მუხლის „ე“ პუნქტის თანახმად, ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო გადაისინჯება თუ „ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა ევროპული სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დაადგინა კონვენციის ან მისი ოქმების დარღვევა ამ საქმესთან დაკავშირებით.“ მოცემულ შემთხვევაში კი ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა ევროპული სასამართლოს კ. ა-ს საქმესთან დაკავშირებით არ უმსჯელია. შუამდგომლობის ავტორი აღნიშნულ ნორმასთან დაკავშირებით მიუთითებს, რომ კონკრეტულ შემთხვევაში გათვალისწინებული უნდა იქნეს „ფანჯიკიძე და სხვები საქართველოს წინააღმდეგ“ ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა ევროპული სასამართლომ 2009 წლის 27 ოქტომბრის გადაწყვეტილება, რადგან იგი შინაარსობრივ კავშირშია მოცემულ საქმესთან. პალატა ვერ გაიზიარებს ამ არგუმენტაციას, რადგანაც ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო, კანონიერ ძალაში შესული განაჩენის გადასინჯვისათვის კანონი ადგენს მკვეთრად განსაზღვრულ რეგულაციებს და მხოლოდ მათი არსებობის შემთხვევაშია განაჩენის გადასინჯვა შესაძლებელი, კერძოდ, ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება უნდა ადგენდეს კონვენციის ან მისი ოქმების დარღვევა მხოლოდ და მხოლოდ ამ საქმესთან



დაკავშირებით. ამდენად, მსჯავრდებულის შუამდგომლობა ამ ნაწილშიც არ შეესაბამება მოქმედ საპროცესო კანონმდებლობას და დაუშვებლად უნდა იქნას ცნობილი.

საქართველოს სსსკ-ის 310-ე მუხლის „ვ“ პუნქტის თანახმად, ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო გადაისინჯება თუ „ახალი კანონი აუქმებს ან ამსუბუქებს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას იმ ქმედებისათვის, რომლის ჩადენისთვისაც პირს გადასასინჯი განაჩენით მსჯავრი დაედო.“ აღნიშნულ ნორმასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ შუამდგომლობის შინაარსი არ იძლევა შესაძლებლობას გარკვეული იქნეს თუ რის საფუძველზე ითხოვს კ. ა. შუამდგომლობის ამ ნაწილში დასაშვებად ცნობას. მსჯავრდებული არგუმენტად არ უთითებს იმ ახალი კანონის არსებობაზე, რომელიც აუქმებს ან ამსუბუქებს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას იმ ქმედებისათვის, რომლის ჩადენისთვისაც პირს გადასასინჯი განაჩენით მსჯავრი დაედო. ამდენად, სააპელაციო პალატა მიიჩნევს, რომ ნაწილში დაუსაბუთებელია შუამდგომლობა და არ შეესაბამება საპროცესო კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

რაც შეეხება მსაჯულთა მონაწილეობით საქმის განხილვის სამართლებრივ პროცედურას, უნდა აღინიშნოს, რომ მოცემულ შემთხვევაში შუამდგომლობა არ აკმაყოფილებს დასახელებული ნორმის მოთხოვნას (საქართველოს სსსკ-ის 310-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი), ვინაიდან ორი მსაჯულის მონაწილეობით სასამართლოს მიერ საქმის განხილვა გათვალისწინებული იყო „უზენაესი სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის მე-8 მუხლის მეორე პარაგრაფით, ხოლო საქართველოს სსსკ-ის 44\*-ე მუხლის მე-2 პარაგრაფი შეიცავდა მსაჯულის განსაზღვრებას. მსაჯულები არჩეული იქნენ 1991 წელს, მათი უფლებამოსილების ვადა რამდენჯერმე იქნა გახანგრძლივებული, კერძოდ, 1998 წლის 12 ივნისის „საქართველოს უზენაესი სასამართლოს მსაჯულთა უფლებამოსილების ვადის გაგრძელების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მსაჯულებს გაუგრძელდათ უფლებამოსილების ვადა 2005 წლის 31 დეკემბრამდე. ამდენად, საქმის განმხილველი სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის არსებობა მოქმედი კანონით იყო გათვალისწინებული. აღნიშნულიდან გამომდინარე, განაჩენის მიღების დროისთვის სასამართლო კოლეგია კანონის საფუძველზე იყო შექმნილი და მოცემულ საქმეზე სასამართლოს უკანონო შემადგენლობის ფაქტის არსებობას არ აქვს ადგილი. შესაბამისად, მსჯავრდებულ კ. ა-ის შუამდგომლობა ამ ნაწილშიც დაუშვებლად უნდა იქნეს ცნობილი.

### ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 310-313-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა :



1. მსჯავრდებულ კ. ა-ის შუამდგომლობა ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის თაობაზე დაუშვებლად იქნეს ცნობილი;
2. სააპელაციო პალატის განჩინება შეიძლება გასაჩივრდეს საკასაციო წესით, მისი გამოტანიდან ორი კვირის ვადაში საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში თბილისის სააპელაციო სასამართლოს მეშვეობით.

თავმჯდომარე

მარინა ხოლოაშვილი

მოსამართლეები:

მზია ლომთათიძე

კახაბერ მაჭავარიანი